ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური
მე-6 კლასი

I სავარჯიშო: არსებითი სახელები და მათი მართლწერა , ბრუნვები და მათი ნიშნები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

1. სახელებს, რომლებიც იბრუნვიან, უწოდებენ....
   ა) დამხმარე სიტყვებს ბ) უღლებად სიტყვებს გ) ბრუნებად სიტყვებს

2. არსებითი სახელის ჯგუფებია:
   ა) კონკრეტული და აბსტრაქტული
   ბ) სრული და უსრული
   გ) დასრულებული და დაუსრულებელი
3. არსებითი სახელი არის:
   ა) მხოლოდ კუმშვადი, უკუმშველი
   ბ) მხოლოდ კვეცადი, უკვეცელი
   გ) ჩამოთვლილთაგან ორივე შესაძლებელია
4. რომელია აბსტრაქტული არსებითი სახელი?
   „ ბავშვის აზროვნება ეროვნულ ცნობიერებაზე უნდა ჩამოყალიბდეს.“
   ა) აზროვნება ბ) ბავშვი გ) ერი
5. რამდენი კონკრეტული არსებითი სახელია წინადადებაში?
   „სკოლის კედლები სურათებით იყო დამშვენებული.“
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
6. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
   ა) პეპელას თავისუფლება ხანმოკლე აღმოჩნდა.
   ბ) კედლის კუთხეში მაგიდა მიედგათ.
   გ) მთის მწვერვალზე რაღაც მოჩანდა.
7. მიცემითი ბრუნვის ნიშანია:
   ა) -ს ბ) -ის გ) -ით
8. წოდებითი ბრუნვის ნიშანია:
   ა) -ად ბ) -ვ, ო გ)-ით
9. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:
   „ <u>სიტყვის</u> კაცი იყო პაპუნა.“
   ა) მიცემითში ბ) სახელობითში გ) ნათესაობითში
10. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვები წინადადებაში:
    „ <u>წმიდაო ღმერთო,</u> დაგვიფარე და დაგვიცავი ბოროტისაგან....“
    ა) მიცემითში ბ) წოდებითში გ) ვითარებითში

II სავარჯიშო: რიცხვითი სახელები და მათი მართლწერა.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

11. რაოდენობითი რიცხვითი სახელი არის:
    ა) სამგვარი ბ) ორგვარი გ) ოთხგვარი
12. რიგობითი რიცხვითი სახელი მიიღება:
    ა) რაოდენობით რიცხვით სახელზე მე-ე თავსართ-ბოლოსართის დართვით;

ბ) მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან
გ) წილობითი რიცხვითი სახელებიდან

13. რომელია რთული რიცხვითი სახელი?
ა) ერთი ბ) ასი გ) ხუთას სამოცდაორი
14. რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
ა) მე-3-ე ადგილი აიღო დანიელმა.
ბ) მე-10 რიგში ვისხედით ბიჭები.
გ) VIII-ე საუკუნეში ქართლში არაბები ბატონობდნენ.
15. რომელია სწორად დაწერილი?
ა) ოთხასი ბ) ოთხასორი გ) მე-400-ე დღე

III სავარჯიშო: ნაცვალსახელები.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

16. რომელ წყვილშია პირის ნაცვალსახელი?
ა) ის მიირთმევს ბ) მათი საჩუქარი გ) ეგ ნივთები
17. რომელ წყვილშია კუთვნილებითი ნაცვალსახელი?
ა) შენ ისწავლე ბ) ეს კაცები გ) ჩემი სიყვარული
18. რომელ წყვილშია ჩვენებითი ნაცვალსახელი?
ა) ის მეგობრები ბ) ჩვენ ვზეიმობთ გ) მათ ახარებთ
19. რომელი წინადადებაა სწორი?
ა) თავისი სიხარული ყველას გაუზიარა.
ბ) შენ მეგობარს მოსწონს თქვენი ეზო.
გ) მათმა გაიმყარეს პოზიციები.
20. რომელი წინადადებაა არასწორი?
ა) მათმა ქვეყანამ გიმარჯვა.
ბ) შენ უამბე შენ წარმატებებზე.
გ) მე ვიბრძვი თავისუფალი სიტყვისთვის.